

გადაწყვეტილება

N გ-21-7/261
29/04/2021

261-შ-21-1-4-202104292109



რადიომოყვარულ პაველ ზაბოლოტსკისთვის რადიოელექტრონული საშუალებებისა და მაღალსიხშირული მოწყობილობების გამოყენებისათვის სახმობის მინიჭების შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდეგში „კომისია“) აღნიშნავს, რომ კომისიას განცხადებით (კომისიაში რეგისტრაციის № შ-21-9/1801, 21.04.2021) მიმართა მოქალაქე პაველ ზაბოლოტსკიმ (მცხ. ქ. ფოთი, ტექსელის ქ. 4) რადიომოყვარულთა შორის საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებაში, სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენებისთვის 50 მგჰც დიაპაზონში (6 მეტრიანი ტალღები) დროებით სახმობის მინიჭების თაობაზე.

კომისია აღნიშნავს, რომ პაველ ზაბოლოტსკი არის „E“ ექსტრა კატეგორიის რადიომოყვარული და კომისიის 2017 წლის 6 აპრილის № 233/7 გადაწყვეტილებით მინიჭებული აქვს სახმობი 4L1R. კომისია ასევე აღნიშნავს, რომ ზაფხულის პერიოდში (რადიოტალღების გავრცელების თავისებურებებიდან გამომდინარე) რადიომოყვარულთა საერთაშორისო გაერთიანების პირველ რეგიონში პერიოდულად იმართება საერთაშორისო შეჯიბრებები. რადიომოყვარულ პაველ ზაბოლოტსკის მიერ, აღნიშნულ შეჯიბრებაში სამოყვარულო რადიოკავშირები განხორციელებული იქნება 50 მჰც სიხშირეზე, მოდულაციის ტიპები - SSB და CW.

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 47¹ მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების“ 51⁵ მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების და 51⁸ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, კომისიამ კენჭისყრის შედეგად ერთხმად

გადაწყვიტა:

1. მიენიჭოს რადიომოყვარულ პაველ ზაბოლოტსკის სამოყვარულო რადიოსადგურის გამოყენებისთვის და დანართში (თან ერთვის) მითითებულ სიხშირულ დიაპაზონებში საქმიანობისთვის, ასევე 50.0 მჰც სიხშირეზე, სახმობი, ცხრილში აღნიშნული მონაცემების შესაბამისად **2021 წლის პირველი მაისიდან 31 აგვისტოს ჩათვლით:**

რეგისტრაციის №	რადიოსადგურის მფლობელი	რადიოსადგურის განთავსების ადგილი	სახმოზი	კატეგორია
T – 079	პაველ ზაბოლოტსკი	ქ. ფოთი, ტექსელის ქ. 4	4L1R	„E“ ექსტრა

2. რადიომოყვარული პაველ ზაბოლოტსკი, რადიომოყვარულთა საერთაშორისო გაერთიანების (IARU) მოქმედი ინსტრუქციების შესაბამისად, ვალდებულია დაიცვას ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირის (ITU) მიერ განსაზღვრული რადიოსამოყვარულო სამსახურის რეგულირების ზოგადი პრინციპები და ასევე სამოყვარულო რადიოსადგურით სამოყვარულო რადიოკავშირის განხორციელების წესები;
3. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციას გადაწყვეტილების პაველ ზაბოლოტსკისთვის გაგზავნა (ნ. ჯავახიძე) და კომისიის ოფიციალურ ვებ გვერდზე (www.comcom.ge) გამოქვეყნება (ნ. შოგნაძე);
4. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე;
5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი № 64) პაველ ზაბოლოტსკისთვის გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში;
6. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის ავტორიზაციის და ლიცენზირების ჯგუფს (მ. ქადეიშვილი).

კახი ბექაური



თავმჯდომარე

ვახტანგ აბაშიძე




წევრი

ეკატერინე იმედაძე



წევრი

ნათია კუკულაძე



წევრი

